ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11925237001**

თარიღი:**25/08/2025**

"წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 22 აგვისტოს #ბ119.11925234001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად და „უქმე დღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 აგვისტოს #381 დადგენილების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 22 აგვისტოს #ბ119.11925234001 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა 2025 წლის 27 აგვისტოს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 11:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცდების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ივნისის #8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ბ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის აგვისტოს თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";"

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი